საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/465

ქ. ბათუმი 09 ივნისი, 2023 წ.

,,სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 08 მაისის №01-08/423 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის **აკადემიური კალენდარის** დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, ,,2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 09 თებერვლის №01-02/26 ბრძანების, ,,სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 08 მაისის №01-08/423 ბრძანების, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერის სამსახურებრივი ბარათების (MES 1 23 0000652413, 07/06/2023; MES 3 23 0000669624, 09/06/2023), ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 07 ივნისის N01-14/222 ბრძანების (ბსუ-ს რექტორის მივლინების შესახებ) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,სწავლის საფასურის დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 08 მაისის №01-08/423 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები,** კერძოდ:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად იმ სტუდენტთა მიმართ, რომლებსაც

ერიცხებათ **2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის** სწავლის საფასურის დავალიანება (2023 წლის 09 ივნისის მდგომარეობით სრულად არ გადაუხდიათ მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური), კერძოდ:

ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი N1);**

ბ) იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი N2);**

გ) ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი N3);**

დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი N4);**

ე) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი N5);**

ვ) ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი N6);**

ზ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები **(დანართი N7).**"

ბ) **ბრძანების პირველი პუნქტში აღნიშნული დანართები N1-7 ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციებით** (ფაკულტეტების მიხედვით სტუდენტები, რომლებსაც 2023 წლის 09 ივნისის მდგომარეობით სრულად არ გადაუხდიათ მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური (პირველი, მე-2 ან/და მე-3 ეტაპზე გადასახდელი თანხა)).

2. წინამდებარე ბრძანების დანართებში აღნიშნული სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის დაფარვის შემთხვევაში ფაკულტეტებმა უზრუნველყოს სტუდენტთა დაშვება დასკვნით გამოცდებზე, 2022-23 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარით განსაზღვრულ ვადებში, ხოლო სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის მიერ წარმოდგენილი განახლებული ინფორმაციის საფუძველზე გამოიცეს ბსუ-ს სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების ბრძანება.

3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება დაეგზავნოს შესაბამის სტუდენტებს, ბსუ-ს პორტალის მეშვეობით (დანართის შესაბამისი ნაწილის ამონარიდები, სხვა სტუდენტების იდენტიფიცირების გარეშე), ასევე ფაკულტეტების ადმინისტრაციებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ სტუდენტთათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.

5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძეს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) კანონმდებლობითი დადგენილი წესით და ვადაში.

რექტორის მოადგილე , პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **ანზორ ბერიძე**